თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 13

ქ.თელავი 19. 11. 2020 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის **თავმჯდომარე ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გიორგი მეტრეველის უფლებამოსილების ცნობის საკითხის განხილვა

   მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გიორგი მეტრეველის უფლებამოსილების ცნობის საკითხის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** წარმოადგინა #17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის წარდგინება, 2020 წლის 31 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში გიორგი მეტრეველის გამარჯვების შესახებ.

მედეა ჩაფურიშვილმა აღნიშნა რომ მოქმედი კანონმდებლობის და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად კომისია მოამზადებს დასკვნას საკრებულოს სხდომაზე გიორგი მეტრეველის, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხს

გადაწყვიტეს: მომზადდეს შესაბამისი დასკვნა და წარედგინოს ბიუროს სხდომას, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხის რიგგარეშედ განხილვის შესახებ.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტი შედგენილია საბიუჯეტო კოდექსის და ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის სრული დაცვით და წარმოდგენილია კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ მოცემულ ეტაპზე კომისიას პროცედურული შენიშვნა არ გააჩნია. რასაც დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრები.

გადაწყვიტეს: მიღებულ იქნას წარმოდგენილი ვარიანტი და გაგრძელდეს კომისიის შემდგომი მუშაობა სხვა საბიუჯეტო პროცედურების მონიტორინგის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: ნ **ნანა ხვისტანი**